ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი №1

ქალაქი ფოთი 12 ივნისი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მაია დოლბაია

ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

მაია დოლბაია, ნანა ვეკუა, ნანა საბულუა, თამარ თოფურია, მალხაზ ფოჩხუა; ლელა ჩიჩუა, თეონა ახალაია, ეკატერინე ფაჩულია, გვანცა გვაძაბია; მანანა ქოიავა, ქეთევან ლორია, შორენა წაბრია, ნონა სილაგავა; ეკატერინე ტუღუში, სოფო როდონაია, ნონა ხუხია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 წლის პირველ სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - მაია დოლბაია/

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის სამოქმედო გეგმის თაობაზე

/მომხსენებელი: პროექტ ურბანული ტრანსპორტის განვითარების გენდერული სერვისების პროგრამის პროექტის, სახელმწიფო და საჯარო სექტორის პრაქტიკის ხელმძღვანელი - ნინო ესაკია/

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მაია დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მოისმინეს:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - მაია დოლბაია

სხდომის დაწყებამდე, საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წევრებს საქველმოქმედო სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობისთვის. შემდგომ გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და ამოცანებზე იმსჯელეს და

პირველის საკითხის თანახმად ერთხმად მიიღეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელიც შემდგომ საკრებულოს სხდომაზე წარედგინება ნორმატიული აქტით დამტკიცების მიზნით.

როგორც საბჭოს თავმჯდომარე მაია დოლბაიამ აღნიშნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 და მე-15 მუხლების, საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-6 მუხლის, საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან ერთად, გენდერული თანასწორობის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, შეიმუშავა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგია.

აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: გ. გვაძაბიამ; ნ. საბულუამ

როგორც საბჭოს წევრმა გვანცა გვაძაბიამ აღნიშნა, გადაიხედოს გენდერული თანასწორობის საბჭოს იმ წევრების საკითხი, საბჭოს შემადგენლობაში დატოვებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ ესწრებინ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებს.

კენჭი უყარეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცებას.

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს: გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის სამოქმედო გეგმის თაობაზე

მომხსენებელი: ურბანული ტრანსპორტის განვითარების გენდერული სერვისების პროგრამის პროექტისა და სახელმწიფო და საჯარო სექტორის პრაქტიკის ხელმძღვანელი - ნინო ესაკია

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტის მიზანია გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა სატრანსპორტო კომპანიებში და რეგიონებში მოსახლეობის სპეციფიკურ ტექნიკურ უნარებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მ. დოლბაიამ, მ. ფოჩხუა; ნ. ხუხიამ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე — მაია დოლბაია

გენდერული საბჭოს მდივანი — ეკატერინე ფაჩულია